თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

ფოტოკონკურს „ილო“-ს 2016 წლის გამარჯვებულები ცნობილია

იხილეთ მე-2 გვერდზე

საქართველოს რეგიონებში 2016 წელს 17 საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა

იხილეთ მე-3 გვერდზე

№22 (761) 5 - 26 დეკემბერი, 2016 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

ახალი მთავრობის ამბიციური პროგრამა და ლარის ამბიციური გაუფასურება

საქართველოს მთავრობა რეფორმის გატარებას იწყებს - გვაუწყებს მთავრობის ოფიციალური ვებ-გვერდი, სადაც გამოქვეყნებული ინფოგრაფიკის თანახმად: უქმდება მოგების გადასახადი და შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები; იგეგმება უპრეცედენტო ინფრასტრუქტურული პროექტები; 10%-ით შემცირდება შრომის ანაზღაურების ფონდი და ადმინისტრაციული ხარჯები: მოხდება ლარიზაცია; აიკრძალება ონლაინ სესხების გაცემა და ა.შ. ახლდადამტკიცებული მთავრობის ამ ამბიციურ პროგრამას კი ეროვნული ვალუტაც ამბიციურად გამოეხმაურა და ისე დაეცა, ყოველგვარ მოლოდინს გადაჭარბა.

დავიწყოთ ლარიზაციის ამბიციური გეგმით, რომელიც სწორედ ჩვენი ეროვნული ვალუტის დასუსტების გამო გამოაცხადა მთავრობამ. პრემიერმინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განმარტებით, ლარიზაცია ნიშნავს იმას, რომ მოქალაქეებს, რომლებსაც სესხი დოლარში 2015 წლის იანვრამდე აქვთ აღებული, კრედიტის ლარში გადატანა შეეძლებათ.

საზოგადოების უდიდეს ნაწილში ამ განცხადებამ უკმაყოფილება გამოიწვია, რადგანაც რეალურად გამოდის რომ ისედაც შეჭირვებულმა ხალხის ფულით (ანუ ბიუჯეტის ფულით) ისევ მინისტრების, მთავრობის წევრებისა თუ სხვა იმ ადამიანთა დოლარში აღებული სესხები უნდა გადაიფაროს, რომლებსაც 100 ათასიანი ბინებისა თუ მანქანების საყიდლად ჰქონდათ თავის დროზე ეს სესხები აღებული.

„ამ გეგმის მიხედვით, როგორც ერთჯერადი სოციალური აქცია, მოხდება 2015 წლის პირველ იანვრამდე ფიზიკურ პირებზე უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ლარში გადატანა, არსებული კურსის მინუს 20 პუნქტის ოდენობით... რაც საგრძნობლად შეამცირებს ზეწოლას ლარის კურსზე. 400 მილიონი დოლარის ყიდვა აღარ მოუწევთ ადამიანებს, ვინც არსებული სესხის გამო ყიდულობდა დოლარს,“ - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

„მე, რომელსაც სესხი არ ამიღია, რატომ უნდა გადავიხადო იმის გადასახდელი, ვინც მანქანა იყიდა, სახლი აიშენა და ა.შ.“ - კითხვას სვამს თსუ-ის ყოფილი რექტორი, პროფესორი ვლადიმერ პაპავა „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი“.

მისივე თქმით, პრემიერ-მინისტრის მიერ მთავრობის სხდომაზე წარმოდგენილი ინიციატივა სოციალურ ხასიათს არ ატარებს. პაპავას განცხადებით, არსებული ინიციატივა თანაბარ პირობებში აყენებს როგორც დაბალშემოსავლიან, ისე საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე მოქალაქეს.

„პრემიერ-მინისტრის ინიციატივასთან დაკავშირებით არსებობს ძალიან ბევრი კითხვა, რომელზე პასუხს არავინ იძლევა... გადასახადებს იხდიან ძალიან მცირეშემოსავლიანი ადამიანები. დღეს ერთ-ერთ გადაცემაში დამლაგებელმა დარეკა და თქვა, რომ 300 ლარი აქვს ხელფასი, ხელზე 240 ლარს იღებს. ის ახლა ვიღაცას, ვინც სახლი აიშენა, იმას უნდა შეეხიდოს?! ამას არ ჰქვია სოციალური პროგრამა. სოციალური პროგრამაა ის, რომ ვისაც უჭირს, იმათ დაეხმარონ. გასაგებია, რომ ეს ადამიანები მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ, მაგრამ არ არიან საზოგადოების ყველაზე გაჭირვებული ფენა. **ყველაზე გაჭირვებული სწორედ ისაა, ვისაც სესხი არ აქვს.** ამიტომ სქემა, რომელზეც გაჟღერდა ინფორმაცია, შესაფასებლად ძალიან რთულია,“ - ამბობს ვლადიმერ პაპავა.

გაგრძელება **მე-2 გვერდზე**

ეკომიგრანტი ბერიძეების ექვსსულიანი ოჯახის ერთოთახიან ქოხში ისე წვიმს, როგორც გარეთ...

ბოლო მონაცემებით, საქართველოში ბუნებრივი კატასტროფებით დაზარალებული 35 ათასი ოჯახი ცხოვრობს,რომელთა უმრავლესობაც სოციალურ, ეკონომიკურ ან საცხოვრებელი ფართით დახმარებას საჭიროებს.

ეკომიგრანტად მიიჩნევა ოჯახი,რომლის საცხოვრებელი სახლი ან მისი ნაწილი დაზიანებულია ან აღდგენას არ ექვემდებარება. ასევე, ეკომიგრანტებად მიიჩნევა ის ოჯახებიც,რომელთა სახლები დაზიანებული არ არის, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა, ზვავი) საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრები ადამიანების სიცოცხლეს და მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას.

ეკომიგრანტების მდგომარეობას ართულებს ის ფაქტი,რომ საკანონმდებლო დონეზე არ არსებობს „ეკომიგრანტის“ ერთიანი განმარტება და ის ადამიანები,რომლებიც საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებული არიან, ფაქტიურად, არანაირი უპირატესობებით არ სარგებლობენ.

სახელმწიფოს შესაბამისი უწყებებს ევალებათ, ადეკვატური ზომები მიიღონ, თუმცა პრობლემა 20 წელზე მეტია, მოუგვარებელია.

არასამთავრობო ორგანიზაცია რეგიონალური ინიციატივების ცენტრის „ნათელი მომავალი“ და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთვრობო ქსელების(CENN)-ის, ერთობლივი პროექტის ფარგლებში დასავლეთ საქართველოში არსებული მედიასაშუალებების წარმომადგენლები მედიატურის ფარგლებში ვეწვიეთ ხონის მუნიციპალიტეტის დედალაურის თემში არსებულ ეკომიგრანტთა დასახლებას.

ეს ოჯახები 22 წელია, რაც სტიქიით დაზარალების შმდეგ, აჭარიდან ხონში გადმოსახლდნენ, თუმცა არანაირი შეღავათით არ სარგებლობენ, რადგან არა აქვთ სახელმწიფო დონეზე აღიარებული ეკომიგრანტის სტატუსი. ცხოვრობენ გაუსაძლის პირობებში, არ აქვთ ბუნებრივი აირი, ცხელი წყალი, გარე განათება და ა.შ. დასახლებამდე მისასვლელი გზა არის ცუდ მდგომარეობაში. კვირაში მხოლოდ ორჯერ შეუძლიათ საზოგადოებრივი ტრანსპორტით ქალაქში ჩასვლა. რამდენიმე ოჯახს მოუხსნეს სოციალური დახმარებაც.

გაგრძელება **მე-2 გვერდზე**

PS news.ge
ISSN 1987-7056
9 771987 705004

ფოტოკონკურს „ილო“-ს 2016 წლის გამარჯვებულები ცნობილია

ქუთაისის „თიბისი გალერეაში“ ფოტოკონკურს "ილო“-ს დასკვნითი გამოფენა გაიმართა. დაჯილდოების ცერემონიამდე, მოწვეული სტუმრებისა და ზოგადად, ფოტოგრაფიით დაინტერესებული პირებისთვის საინტერესო ლექცია წაიკითხა ფოტოკონკურსის ჟიურის თავმჯდომარემ, თბილისის ფოტოფესტივალის ხელმძღვანელმა ნესტან ნიჟარაძემ, სახელწოდებით "ფოტოგრაფია საქართველოში - თანამედროვეობის მედიუმი".

კონკურსში გამარჯვებულთათვის 4 პრემია: გრან-პრი, I, II და III პრემიები იყო დაწესებული და ჟიურის გადაწყვეტილებით ის ასე გადანაწილდა:

გრან-პრის მფლობელი გახდა ფოტოგრაფი ირაკლი ბიგვავა; პირველი ადგილი მოიპოვა გიორგი კაკიაშვილმა; მეორე ადგილი ერგო ირაკლი შარაშიძეს, ხოლო მესამე ადგილზე გავიდა პაატა ნემსიწვერიძის ფოტონამუშევარი.

გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელები, ილო ფოტოგრაფის (ხახიაშვილის) სახელობის ქანდაკებები და ფულადი პრიზები.

„კონკურსზე სულ 5 ფოტო მქონდა გაგზავნილი. სტუდენტობის პერიოდში უფრო აქტიურად ვიყავი ფოტოხელოვნებით დაკავებული. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი წელს პირველად მივიღე ფოტო-კონკურსში მონაწილეობა. სიმართლე გითხრათ, არ ველოდი გამარჯვებას. არაჩვეულებრივი გრძნობაა,“- განაცხადა გრან-პრის მფლობელმა ირაკლი ბიგვავამ.

კონკურსის ორგანიზატორის, თამთა თურმანიძის თქმით, კონკურსანტთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს, რაც ერთგვარი წინაპირობაა ამ ქალაქში ფოტოგრაფიის განვითარების.

შეგახსენებთ, რომ ფოტოკონკურსი „ილო“ 2007 წლიდან ყოველწლიურად იმართება ქუთაისში. მას ორგანიზებას ქალაქის მერიის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური უწევს. ფოტოკონკურსი ქუთაისელი კოლორიტი ფოტოგრაფის, ილო ხახიაშვილის სახელს ატარებს, რომლის ფოტოატელიეც ათწლეულების განმავლობაში ქალაქის ცხოვრების ერთგვარი მემატიანე იყო.

ფოტოკონკურს „ილოს“ მიზანია, გამოავლინოს ნიჭიერი ფოტოგრაფები და სტიმული მისცეს ქუთაისში ფოტოხელოვნების განვითარებას. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც პროფესიონალ, ისე - მოყვარულ ფოტოგრაფებს. კონკურსში გამარჯვებულთათვის გაიცემა 4 პრემია: გრან-პრი, I, II და III პრემიები. გამარჯვებულებისთვის დაწესებულია ფულადი ჯილდოები და სამახსოვრო ქანდაკებები. ტრადიციად იქცა კონკურსში შემოსული ნამუშევრებით მომავალი წლის კალენდრის გამოცემა.

ლიკა დევდარიანი

„მისი ცხოვრების ვარსკვლავური საათი“ – ფილმი ქალისა და მამაკაცის თანასწოროგაზე

გენდერული თანასწორობის თემაზე ფილმის - „მისი ცხოვრების ვარსკვლავური საათის“ ჩვენება საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა.

ფილმი ასახავს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში არსებულ სიტუაციებს, ადამიანისა და, ზოგადად, ქალის უფლებების შესახებ. თუმცა, იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ ერთი ქვეყნითდა შეიძლება, სიტუაცია განვაზოგადოთ ყველა იმ ქვეყანაზე, სადაც ისეთივე მწვავედ დგას გენდერული საკითხი, როგორც, მაგალითად, - საქართველოში.

ფილმის მიხედვით, რომ არა ადვოკატ ელიზაბეტ ზელბერტის უდიდესი ძალისხმევა, 1948 წელს გერმანიის-ფედერალური რესპუბლიკის კონსტიტუციაში არ ჩაიწერებოდა სიტყვები: „მამაკაცი და ქალი თანასწორია“. სწორედეს მომენტი გახდა ქალის უფლებებისთვის ბრძოლის საწყისი.

იზაბელა იყო ადვოკატი, რომელსაც ყველაზე ხშირად მიმართავდნენ უფლებაწართმეული ქალები და შესაბამისად,ყველაზე კარგად იცნობდა ქალის შეზღუდულ უფლებებს; ქალს არ შეეძლო, დაეწყო მუშაობა მეუღლის თანხმობის გარეშე; თუ მუშაობდა, გაცილებით ნაკლები ანაზღაურება ეძლეოდა, ვიდრე კაცს; განქორწინების შემთხვევაში კი,ქალს არცერთი თეთრის წაღების უფლება არ ქონდა სახლიდან...

იზაბელა იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, სადაც სულ 4 ქალი იყო გაწევრიანებული, თუმცა ქალისუფლებებისთვის ბრძოლაში მას არამც თუ კაცები, ეს ქალებიც კი დაუპირისპირდნენ, იმ არგუმენტით, რომ მსგავსი ჩანაწერი არა მხოლოდ შექმნიდა სამართლებრივ ვაკუუმს, არამედ, საფრთხეს წარმოადგენდა ოჯახისა დასახელმწიფოსთვისაც და იგი გამოიწვევდა მთელი კონსტიტუციის თავდაყირა დადგომას.

იზაბელამ უამრავი ბარიერისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, მოახერხა და ჯერ უფლებადაკარგულ ქალებსაუხილა თვალი და შემდეგ გაუკვლია გზა მათი უფლებების სრულად მოპოვებისკენ. იმ დღეს კი, როცა მან ეს ბრძოლა მოიგო, „ვარსკვლავური საათი“ უწოდა.

შეგვიძლია, პარალელი გავავლოთ ფილმსა და ჩვენს დღევანდელ რეალობას შორის. იზაბელას სწორედ მეუღლემდააძალა წლების წინ სწავლა, ახლა კი უდიდესი საქმისთვის ბრძოლა ოჯახიდან შორს, სხვა ქალაქში უწევდა დაოჯახის სიმძიმეც მისმა მეუღლემ იტვირთა. საქართველოში დღესაც ხშირია შემთხვევები, როცა ქმარი მუშაობასადა აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას უშლის მეუღლეს.

მგონი დროა, გაიაზროს საზოგადოებამ, რომ არსებობს არაერთი სფერო, მიმართულება, რომელსაც ქალი მამაკაცისმსგავსად ან მასზე უკეთ უძღვება, ამიტომ სტერეოტიპი, რომ ქალი მხოლოდ დასახლისია და მასზე მაღლა ყველგანდა ყოველთვის დგას მამაკაცი, უნდა დაინგრეს.

დღესდღეობით ძალიან მნიშვნელოვანია, ტარდებოდეს მსგავსი პროექტები და ეცნობოდეს საზოგადოება, განსაკუთრებით კი მომავალი თაობის ქალები, თუ რა გზა გაიარა და რამდენი ბრძოლა დასჭირდა იმ უფლებებისმოპოვებას, რომლითაც დღეს ჩვენ ვართ აღჭურვილნი და გვგონია, რომ წინა თაობებსაც ჰქონდათ ამ უფლელებისგამოყენების ფუფუნება.

* * *

ფილმის ჩვენება გაიმართა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროსა და ნიდერლანდებისინსტიტუტის მრავალპარტიული დემოკრატიისათვის მხარდაჭერით, ღონისძიება კი დასრულდა გენდერულითანასწორობის თემაზე დისკუსიით.

ღონისძიებაზე მოწვეული იყო ასევე იურისტი ანა არღანაშვილი, რომელმაც ისაუბრა ქალის როლზეს-საზოგადოებაში, მისი უფლებების ამჟამინდელ მდგომარეობაზე, და ზოგადად, მსგავსი ღონისძიებების უდიდესმნიშვნელობაზე.

მეგი კაკაბაძე

ეკომიგრანტი ბერიძეების ექვსსულიანი ოჯახის ერთოთახიან ქოხში ისე წვიმს, როგორც გარეთ...

პირველი გვერდიდან

განსაკუთრებით უჭირს, ბერიძეების 6 სულიან ოჯახს, რომლებიც მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად, ხის ერთოთახიან ქოხში ცხოვრობენ. „წვიმიან ამინდში სახლშიც ისე წვიმს,როგორც გარეთ.

ვთხოვთ სახელმწიფოს, გამოგვიყოს ნორმალური ფართი საცხოვრებლად ან დაგვასაქმონ, რომ ჩვენი სახსრებით შევძლოთ სახლის ყიდვა,“- განაცხადა ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა მზია ბერიძემ.

ამ დასახლებებში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი საგრძნობლად მაღალია, განსაკუთრებით უჭირთ მრავალშვილიან ოჯახებს.

„ ამ ადამიანებს, ფაქტობრივად, არ აქვთ საცხოვრებელი პირობები. ისინი რეალურად ქოხებში ცხოვრობენ. ამიტომ, აუცილებელია საკანონმდებლო მცირე საწარმო,რომელშიც ისინი დასაქმდებიან. იმედია, მცირე წვლილს მაინც შევიტანთ ეკომიგრანტების ცხოვრების გაუმჯობესებაში.“ - განაცხადა მარიკა ვაჭარაძემ, რეგიონალური ინიციატივების ცენტრის დამფუძნებელმა და პროექტის “ეკომიგრანტების უფლებებისთვის“ ხელმძღვანელმა.

შეგახსენებთ,1989 წლის აპრილში აჭარის რეგიონში მომხდარმა მეწყერმა, ძირითადად, ხულოს, ქედისა დაღონეზე გადაწყდეს მათი სტატუსის განსაზღვრა. ჩვენი ორგანიზაცია გარკვეული პერიოდი აკვირდებოდა და სწავლობდა ამ ოჯახების პრობლემებს, ამიტომ გახდა შესაძლებელი ამ პროექტის დაწყება, რომელიც 5 თვე გაგრძელდება. ჩვენ პროექტის დასრულებისთანავე არ შევწყვეტთ ამ ადამიანებთან ურთიერთობას და ვეცდებით, შევქმნათ შუახევის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა დაეზარალა.

სტიქიური უბედურების გამო, მოსახლეობის მიგრაცია აჭარიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონშიგანხორციელდა, მათ შორის, ხონის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში.

ლიკა დევდარიანი

ახალი მთავრობის ამბიციური პროგრამა და ლარის ამბიციური გაუფასურება

პირველი გვერდიდან

„მინდა გითხრათ მეგობრებო, რომ შოკში ვარ. გულწრფელად გეტყვით: შემეშინდა ჩვენი ქვეყნის მომავლის გამო. ქვეყანა უვიცებს ჩაუვარდათ ხელში! მეგონა, რომ იმ რადიკალურმა ცვლილებებმა, რომელიც მოხდა ვარდების რევოლუციის შემდეგ, შექმნა განვითარების ისეთი საძირკველი, რომელსაც ვერაფერი შეარყევდა. შეიძლება დაზიანებულიყო, მაგრამ გაუძლებდა სიმძიმეს. მეგონა, რომ ისე მტკიცედ ვიდექით საბაზრო, ლიბერალურ ლიანდაგზე, რომ იქიდან ძნელი იქნებოდა ამოგდება. როგორც ჩანს, ვცდებოდი. ის გეგმა, რაც მთავრობამ წარმოადგინა, არის ნგრევის დასაწყისი. როგორც ფაქტი და როგორც ტენდენცია. ეს გვაბრუნებს შევარდნაძის დროში“ - წერს სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ საქართველოს პარლამენტის წევრი ოპოზიციიდან, ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი **რომან გოცირიძე.**

თუმცა, პოლიტიკური ოპონენტის ამგვარ განწყობას არ ეთახმებიან საპარლამენტო უმრავლესობის წევრები და აცხადებენ, რომ მთავრობამ სწორედ რომ ამბიციური გეგმა წარმოადგინა და რომელიც ბიძგს მისცემს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. როგორც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ **ირაკლი კოვზანაძემ** განაცხადა, ლარის პრობლემასთან დაკავშირებით, მთავრობა და ეროვნული ბანკი ერთმანეთთან უპრეცედენტოდ თანამშრომლობენ.

რაც შეეხება ეროვნულ ბანკს, მის მიერ გავრცელებული ოფიციალური განცხადების თანახმად, დღეს სავალუტო ბაზარზე გაცვლითი კურსის მკვეთრი ცვლილება არ არის გამოწვეული ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებით და ამჟამად ბაზარზე არსებული გაცვლითი კურსი გადაცდა იმ ნიშნულს, რომელსაც ფუნდამენტური ფაქტორები განაპირობებს.

„შესაბამისად, ჩვენ ველით გაუფასურების შეჩერებას და კურსის უმოკლეს დროში უკუქცევას. ამდენად, ბაზარზე დღეს არსებული აშშ დოლარის ფასი არის გადაჭარბებული და მოსახლეობას და ეკონომიკურ აგენტებს ვურჩევთ, ნუ მიიღებენ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს, რომელიც დიდი ალბათობით მათვე დააზარალებს“ - ნათქვამია საქართველოს ეროვნული ბანკის საგანგებო განცხადებაში.

მთავრობის ამბიციურ გეგმაში კიდევ ერთი, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან საკამათო პუნქტი იყო ონლაინ სესხებთან დაკავშირებული თემა. თავიდან მთავრობის წევრები აცხადებდნენ, რომ აიკრძალება ონლაინ სესხები, რაც მოსახლეობის მოთხოვნა იყო, თუმცა შემდეგ ატეხილი აჟიოტაჟის გამო პრემიერმა და სხვა ხელისუფლები წარმომადგენლებმა პოზიციები შეარბილეს და განაცხადეს, რომ საუბარი იყო არა აკრძალვაზე, არამედ რეგულირებაზე.

დღეს არსებული კანონმდებლობით, ონლაინსაკრედიტო კომპანიები რეგისტრირებულები არიან როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები და მათზე არ ვრცელდება ის რეგულაციები, რომლითაც ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს არეგულირებს. რეგულირებას კი იმდენად ბევრი მოწინააღმდეგე არ ჰყავს როგორც აკრძალვას. როგორც საქართველოს ონლაინ არასაბანკო საკრედიტო ასოციაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, ონლაინ სესხების ბაზრის დარეგულირება არამარტო მომხმარებლის ინტერესებში შედის, არამედ თავად ამ ბიზნესის წარმომადგენლების - ეს ხელს შეუწყობს მათი რეპუტაციის და ნდობის ხარისხის გაზრდას.

ამრიგად, ახალი მთავრობის სამუშაო დღეები საკმაოდ მძიმედ დაიწყო. როგორ შეასრულებს პრემიერი და მისი კაბინეტი თავის ამბიციურ გეგმას, ამას მომავალში ვნახავთ, თუმცა დღეს ერთი რამ ფაქტია - ახალ მთავრობას საკმაოდ მძიმე ეკონომიკური პრობლემები ერგო მემკვიდრეობით... თუმცა რაღა მემკვიდრეობით, დღევანდელი მთავრობა ხომ პრაქტიკულად ძველი მთავრობის წევრებით არის დაკომპლექტებული და პოლიტიკურ ოპოზიციას რომ ჰკითხოთ, დღევანდელი პრობლემები სწორედაც რომ ახალი ძველი მთავრობის ბრალია.

ცოტნე პაატაშვილი

საქართველოს რეგიონებში 2016 წელს 17 საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა

საქართველოს მასშტაბით მოქმედ საზოგადოებრივ ცენტრებში 200-მდე ადგილობრივი მოსახლეა დასაქმებული და 250 000-მდე სერვისია გაცემული

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობას აგრძელებს. საზოგადოებრივი ცენტრების განვითარების პროექტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია იმ პროექტებს შორის, რომლებსაც იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ახორციელებს.

პროექტის მთავარი იდეა საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სოფლის გაძლიერებაა. იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის ინიციატივით საზოგადოებრივი ცენტრები შენდება მუნიციპალური ცენტრებიდან დაშორებულ სოფლებში; მრავალრიცხოვან, მჭიდროდ დასახლებულ, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე და საზღვრისპირა სოფლებსა თუ დაბებში.

წელს საზოგადოებრივი ცენტრები ოკუპირებულ რეგიონებთან მოსაზღვრე სამ სოფელში – რუხში, ბერძენაულსა და ტყვიავში –გაიხსნა. რაც შეეხება საზღვრისპირა სოფლებს, ცენტრები უკვე ფუნქციონირებს არხილოსკალოში, სადახლოსა და ვალეში.

ამჟამად საქართველოს მასშტაბით მოქმედებს 43 ცენტრი, სადაც მოსახლეობას საშუალება აქვს, 200-ზე მეტი საჯარო და კერძო სერვისით ისარგებლოს. სოფელში ცენტრის ფუნქციონირება ნიშნავს ადგილობრივი მოსახლეობისთვის სოფლიდან გაუსვლელად სახელმწიფო და კერძო სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას.

საზოგადოებრივი ცენტრის გახსნით სოფლიდან გაუსვლელად ხელმისაწვდომი გახდა სახელმწიფო სერვისების განვითარების, საჯარო რეესტრის და არქივის ყველა სერვისის მიღება. ცენტრებში, ასევე, გაიცემა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სერვისები; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სერვისები (მაგალითად, სასკოლო ატესტატის მიღება); სოციალური სააგენტოს სერვისები. ცენტრებში განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკა; შეხვედრების ოთახი, რომლის გამოყენებაც ადგილობრივ მოსახლეობას, სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლებს, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს უფასოდ შეუძლიათ; სკაიპის ოთახი; სწრაფი გადახდის აპარატები და სხვ.

საზოგადოებრივი ცენტრის გახსნით სოფლებში არა მხოლოდ საჯარო სერვისები, არამედ „მაგთისა" და „ლიბერთი ბანკის" მომსახურებაც გახდა ხელმისაწვდომი, რაც პენსიონერებს – პენსიის სოფლიდან გაუსვლელად მიღების, ახალგაზრდებს კი უფასოდ უკაბელო ინტერნეტით სარგებლობის საშუალება მიეცათ. მანამდე ბევრ ამ სოფელში არც ბანკისა და არც მობილური ოპერატორის ოფისები არ არსებობდა.

აღსანიშნავია, რომ წელს ბოლო – 43-ე საზოგადოებრივი ცენტრი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმურდოში გაიხსნა. სოფელში მცხოვრები მოსახლეობის 100 პროცენტი ეთნიკურად სომეხია. ცენტრალური სახელმწიფო სტრუქტურები ამ სოფელში პირველად ამოქმედდა და ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცა, იმავე სერვისებით ისარგებლოს, როგორითაც დიდი ქალაქების მცხოვრებნი სარგებლობენ. ახალ წლამდე კიდევ ერთი საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნება. მელე უკვე წალკის მოსახლეობაც შეძლებს სახელმწიფო და კერძო სერვისებით ადგილზე სარგებლობას.

დღეისათვის საქართველოს მასშტაბით საზოგადოებრივი ცენტრები ფუნქციონირებს შემდეგ სოფლებსა და დაბებში: შაშიანში, სართიჭალაში, გომში, რუისში, ჭალადიდში, ხევში, მანგლისში, კოდაში, ფოკაში, ნიგოითში, ჯვარში, შორაპანში, ყვარელწყალში, მუხაესტატეში, გეგუთში, მეჯვრისხევში, კაჭრეთში, ხიდისთავში, ნუკრიანში, კორბოულში, ღორეშაში, კაზრეთში, შილდაში, ორსანტიაში, ქვემო ნატანებში, კაბალში, ლენტეხში, ჩაქვში, ხრეითში, სადახლოში, რუხში, დიდ ჯიხაიშში, მარტყოფში, იორმუღანლოში, არხილოსკალოში, ტყვიავში, ვალეში, ბერძენაულში, უსახელოში, კიცხში, ბარალეთში, ლაჯანასა და კუმურდოში.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება საქართველოში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინიციატივაა, რომელიც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. დამატებითი ინფორმაცია საზოგადოებრივი ცენტრების შესახებ ხელმისაწვდომია ოფიციალურ ვებგვერდზე (centre.gov.ge).

SWEDEN

ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მოსწავლის კიდევ ერთი წარმატება მეცნიერებაში

თბილისში გამართული, მოსწავლე-გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის" ფინალურ ეტაპზე ქუთაისელმა მოსწავლეებმა საუკეთესო შედეგი აჩვენეს.

აღნიშნულ კონკურსზე ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა ლიცეუმის XII კლასის მოსწავლე მარია ერაძეც მონაწილეობდა, რომელმაც ქიმია-ბიოლოგიის პედაგოგ სოფიო გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით, წარადგინა პროექტი ახალი თაობის „ცოცხალი საკვების" შემუშავება საქართველოს სანედლეულო რესურსების რაციონალური გამოყენებით. პროექტზე მარიასთან ერთად ქუთაისელი მოსწავლე გიორგი ფხაკაძეც მუშაობდა. ინოვაციურმა პროექტმა საუკეთესო შეფასება და I ადგილი მოიპოვა. ახალგზარდა მკვლევარებმა ჯილდოს სახით ფულადი პრემიაც მიიღეს. კონკურსის პირობების თანახმად შესაძლოა გამარჯვებულები ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრებიან მსოფლიოში უდიდესი კონკურსის - ინტელის საერთაშორისო საინჟინრო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად.

მიმდინარე წელს გამართულ ნორჩ მენიერთა და გამომგონებელთა ოლიმპიადაზე (IYIPO 2016), სადაც 30 ქვეყნის 300 გამომგონებელი მონაწილეობდა, მარიამმა და გიორგიმ ასევე პირველი ადგილი აიღეს და ოქროს მედლის მფლობელიც გახდნენ.

* * *

მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი" მიზანია ზოგადსაგანმანათლებო დაწესებულებებში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა; სასწავლო პროცესის სტიმულირება-სრულყოფა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება; ინოვაციებისა და ტექნიკის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება; შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება.გამოვლინდნენ გრანპრის, პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელები. 2010 წლიდან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრირებით ხორციელდება.

ქართული მხარის ძალისხმევითრ რუსეთში ერთ-ერთი კომპანიის ონლაინ-გაყიდვებიდან იმიტირებული ღვინოებია ამოღებული

სსიპ ღვინის ეროვნულ სააგენტოს და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" ერთობლივი ძალისხმევით, რუსეთის ღვინის ბაზარზე ოპერირებადი ერთ-ერთი მსხვილი კომპანია „აგორას" ონლაინ-გაყიდვებიდან ქართული ადგილწარმოშობის დასახელებების ღვინის იმიტაციით წარმოებული ღვინის ამოღება მოხდა.

2016 წლის სექტემბრში ღვინის ეროვნულ სააგენტოსათვის ცნობილი გახდა, რომ კომპანია „აგორა" (http://www.agora-group.ru/) ქართული ღვინის დაცული ადგილწარმოშობის დასახელებების - „ხვანჭკარა" და „ქინძმარაული" - იმიტაციით, კრასნოდარის მხარეში წარმოებული ღვინის რეალიზაციას ახდენდა. კერძოდ, სარეალიზაციოდ შეთავაზებული პროდუქტის ეტიკეტებზე დატანილი იყო აღნიშნვნა „ХВАНЧМАРАУЛИ".

ღვინის ეროვნულ სააგენტოს და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" ერთობლივი მუშაობის შედეგად, კომპანიის ონლაინ გაყიდვებიდან ამოღებულია ქართული ღვინის დაცული ადგილწარმოშობის დასახელებების - „ხვანჭკარასა" და „ქინძმარაულის" იმიტაციით ეტიკეტირებული ღვინო.

„აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ ფაქტმა, რომ 2016 წელს „საქპატენტის" მიერ რუსეთის ფედერაციაში სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს სახელზე დარეგისტრირდა ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებები „ხვანჭკარა" და „ ქინძმარაული". ღვინის ეროვნულ სააგენტო კვლავაც განაგრძობს მუშაობას ქართული ადგილწარმოშობის დასახელებების საერთაშორისო დაცვის კუთხით" - აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ, ანდრო ასლანიშვილმა.

ქუთაისში ქალთა ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი აქცია-კვირეული დაიწყო

ქუთაისში მერიის მიმდებარენტერიტორიაზე,შრომის ძეგლთან ქალთა მიმართძალადობის წინააღმდეგ კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი"-ს ორგანიზებით აქცია მოეწყო, რომელშიც ყველა მსურველმა მიიღო მონაწილეობა.

„STOP ქალთა მიმართ ძალადობას!" „ერთად ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ!" „ძალადობა ბოროტებაა! „იგრძენი პასუხისმგებლობა, შეაჩერე ძალადობა!" „ქალს აქვს ბედნიერების უფლება!" - ამ ტიპის მესიჯები გაუგზავნეს საზოგადოებას აქციაზე შეკრებილმა ქალბატონებმა.

ჩვენ ვესაუბრეთ ფონდი „სოხუმი"-ს საინფორმაციო სექტორის ხელმძღვანელს ლალი შენგელიას: „25 ნოემბერი არის ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე. დღეიდან მთელს მსოფლიოში იწყება 16 დღიანი საინფორმაციო კამპანია, რომელსაც ეწოდება 16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ.

ჩვენ ვართ ფონდი „სოხუმი", ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია. 20-წლიანი ისტორიით. 2001 წლიდან ჩართული ვართ ამ კამპანიაში და ყოველ 25 ნოემბერს ვმართავთ აქციას."

შეგახსენებთ, ქალზე ძალადობა ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილია. 2015 წელს „112"-ზე ოჯახურ კონფლიქტთან დაკავშირებით 15 910 გამოძახება დაფიქსირდა. პოლიციამ გამოძიება მხოლოდ 949 საქმეზე დაიწყო და მხოლოდ 2 727 შემთხვევაზე გამოსცა შემაკავებელი ორდერი. დანარჩენ შემთხვევებს გაგრძელება არ მოჰყოლია.

ლიკა დევდარიანი

ქელეშბი დევდარიანის საუკუნოვანი სახლი სვანეთში - იმსახურებს თუ არა კულტურული მემკვიდრეობის სტატუსს?

მთას და მთის დასახლებებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ კულტურაში. თანამედროვე მეცნიერებაც კი განცვიფრებაში მოჰყავს აქაური შენობა-ნაგებობების კონსტრუქციას და სიმტკიცეს, რომლებმაც საუკუნეებს გაუძლო.
შეუძლებელია, მთის კულტურაზე ვისაუბროთ და სვანეთს ავუაროთ გვერდი. ამ კუთხის კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი განხილვით თავს არ შეგაწყენთ, თუმცა, მინდა, რომ ერთი ნაკლებად ცნობილი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურულ-ეთნოგრაფიულ მნიშვნელობაზე გესაუბროთ.

ქელეშბი დევდარიანის სახლი

ქვემო სვანეთის ლაშხეთის თემში, სოფელ ჩიხარეში არის 1916 წელს აშენებული საცხოვრებელი სახლი, რომელიც დაახლოებით 40 წელია, მიტოვებულია და აღარ გამოიყენება საცხოვრებლად. მიუხედავად ამ სახლის სიძველისა და მნიშვნელოვანი დაზიანებისა, ის ნებისმიერ მნახველში მაინც აღფრთოვანებას იწვევს, მათ შორის - ტურისტებში, რადგან ასეთი სახლი ერთადერთია მთელს ქვემო სვანეთში.

აღნიშნული საცხოვრებელი სახლი ეკუთვნის სვანეთში თავის დროზე კარგად ცნობილი ხელოსნის, ქელეშბი დევდარიანის ოჯახს.

როგორც სოფლის უხუცესებმა გვიამბეს, ქელეშბი სახლს 4 წელი აშენებდა, ორი კარგი ხელოსნის დახმარებით. მას ასევე ეხმარებოდნენ სოფლის მცხოვრებლები ე.წ. „ნადები“, რომლეებიც ძირითადად შავ სამუშაოს ასრულებდნენ. იმდროინდელ სვანეთში ტექნიკის გარეშე, პრიმიტიული იარაღებით მსგავსი პროექტის სახლის აშენება უთუოდ დიდ სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული, თუმცა ფაქტია, რომ დიდი ნიჭის პატრონმა ხელოსანმა ეს სირთულეები დაძლია და ისეთი მემკვიდრეობა დაუტოვა შთამომავლებს, რომლის ანალოგიც მთელ ქვემო სვანეთში არ მოიძებნება.

სტატიაზე მუშაობისას დავუკავშირდით დევდარიანების ოჯახის ახლობელს, რომელმაც გვაჩვენა ქელეშბის ძმის წერილი, რომელშიც ის თავის ძმას ურჩევს, არ იწვალოს და უფრო მარტივი სახლი ააშენოს. წერილს თან ურთავს შედარებით მარტივ პროექტს, ვიდრე ქელეშბის ჰქონდა ჩაფიქრებული. გამოცდილი ოსტატი არც ძმის რჩევას ითვალისწინებს და 4 წელიწადში აშენებს სახლს, რომლის ექსტერიერს, ინტერიერს და ავეჯსაც კი საკუთარი ხელით აკეთებს.

ქელესბი დევდარიანის აშენებული სცხოვრებელი სახლი იმდროინდელი სვანეთისთვის საკმაოდ უჩვეულო ნაგებობაა. ის არის ორსართულიანი, საკმაოდ დიდი ზომის სახლი, რომელიც შედგება 8 დიდი ოთახისაგან, ასევე - ორი გრძელი და ფართო კორიდორისაგან. პირველი და მეორე სართული ერთმანეთთან დაკავშირებულია ხის შიდა კიბით, რომლის მოაჯირებზეც სხვადასხვა სახის ხელნაკეთი ორნამენტია გამოყვანილი. ჭერის დასაწყისში სვეტებზე მიმაგრებულია ტალღოვანი ფორმის ჭაღები, სახლს ამშვენებს ლამაზი ხის კარ-ფანჯარა. ასევე, ე.წ "რეშოტკა", ლამზი ფიგურებით. საშენ მასალად გამოყენებულია უმაღლესი ხარისხის ხის მასალა, რომელსაც თვითონ მოიპოვებდა და ამუშავებდა ქელეშბი დევდარიანი. კედლები მწვანედაა შეღებილი და ის ამდენი წლის შემდეგაც კი სრულყოფილად გამოიყურება.

ამ სახლის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ღირებულება მაინც მისი სახურავია, რომლესაც ანალოგი არ მოეძებნება. სახლი გადახურულია ქვის სამკუთხა თხელი ფილებით. ყველა ფილა ერთნაირი ზომის და ფორმისაა. ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ ფილები იმდენად პროპორციულადაა ერთმანეთთან გადაბმული, რომ წვეთ წყალსაც კი არ აპარებს. არც ზედაპირზე მავთულებისათვის გაკეთებული ნახვრეტები არ ეტყობა.

აი, რა გვიამბო ამ სოფლის უხუცესმა, იაშა ნემსაძემ, ქელეშბი დევდარიანის შესახებ: „ქელეშბი კარგი ხელოსანი იყო და ხშირად მიჰყავდათ სახლების ასაშენებლად. ქვით დახურული სახლი უნახავს სადღაც, ძალიან მოსწონებია და სახლში რომ დაბრუნებულა,დაუჟინებია, მეც ქვით უნდა გადავხუროო სახლი. ყველა ეწინააღმდეგებოდა, რადგან ქვის დამუშავებას მეტი შრომა და დრო სჭირდება, მაგრამ მან მოინდომა და მართლაც, ზუსტად ისე გააკეთა ყველაფერი, როგორც სურდა. მას ჰქონდა ღვთისგან მომადლებული განსაკუთრებული ნიჭი, ყველაფერი გამოსდიოდა ხელიდან.“

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ეს დიდებული სახლი იმ დროშია აშენებული, როცა სვანეთში უკიდურესი გაჭირვება იყო, როდესაც მოსახლეობის უმრავლესობა „მაჩუბებში“ და „მიწურებში“ ცხოვრობდა.

დღევანდელ სვანეთში ეკომიგრაციის და ურბანიზაციის მაღალი დონის გამო, მოსახლეობის რიცხვი მკვეთრადაა შემცირებული. ხითხუროები, კალატოზები და ხელოსნები, ფაქტობრივად, აღარ არსებობენ. მხოლოდ აქა-იქ შემორჩენილი ძველი სახლები ინახავენ დიდებული, ნიჭიერი ხელოსნების სახელებს.

სტატიაზე მუშაობისას მივაკვლიე ჩემს მიერ აღწერილი სახლის მეპატრონეებს. ისინი უკვე 40 წელია, გარდაბანში ცხოვრობენ. როგორც გავარკვიე, დიდი წინაპრის ხელობას არც ერთი მისი შთამომავალი არ ფლობს.

ქელეშბი დევდარიანის საუკუნოვანი სახლის ფოტომასალა გავაცანით საქართველოს კუკლტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალის მმართველს, ბატონ **როლანდ ისაკაძეს**, რომელსაც ამ საკითის ანალიზში შესაბამისი კომპეტენცია აქვს. გთავაზობთ მის შეფასებას:

„სახლს, რომელსაც მე ფოტომასალით გავეცანი, 2 მკვეთრად გამოხატული მხატვრული ღირებულება აქვს. პირველი — ეს არის, ხის მოჩუქურთმებული აივანი, რომელიც ძირითადად რაჭული სახლების ტრადიციული ელემენტია და ის არ ახასიათებს ქვემო სვანეთის სახლებს. მეორე კი, ეს არის სახლის გადახურვის ორიგინალური ხერხი. სახლი გადახურულია ადგილობრივი ფიქალი ქვით, რომელიც ასევე არტრადიციულია სვანური სახლებისათვის. ფიქალი ქვით სახლების გადახურვა დამახასიათებელია კავკასიის მთიანეთის ორივე კალთისთვის: ხევსურეთისთვის, თუშეთისთვის, მუცოსთვის, ჩეჩნეთისთვის და იმიერკავკასიისთვისაც. სვანეთისთვის კი ამ ტიპით სახლების გადახურვა არ არის დამახასიათებელი. როგორც ვიცით, სვანეთში თავის დროზე გადასახურ მასალად გამოიყენებოდა ყავარი.

ამ სახლის არქიტექტურული მახასიათებლები, შეიძლება ითქვას, არის სავანეთისათის უჩვეულო და არატრადიციული, რომელიც ხაზს უსვამს მისი ამშენებლის, ქელეშბი დევდარიანის, ინდივიდუალურ ხელწერას, რომელიც ფლობდა განსაკუთრებულ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ხელობას (თუ ამ სახლის ასაკსაც გავითვალისწინებთ, რომელიც შეფასების სქემაში არასავალდებულო პუნქტად განიხილება) ეს ყველაფერი მინიმუმ იმის საფუძველს მაინც იძლევა, რომ მოხდეს ამ სახლის არქიტექტურის შესწავლა შესაბამისი კომისიების მიერ.“

კომპეტენტური პირის ასეთი შეფასების შემდეგ, კიდევ უფრო ვრწმუნდებით, რომ ქელეშბი დევდარიანის სახლი იმსახურებს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში მოხვედრას, როგორც არამატერიალური ძეგლი, რომელიც გამოირჩევა არქიტექტურული და ეთნოგრაფიული ღირებულებებით. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ მოხდება ამ სახლის ღირებულების განსაზღვრა და მისი გენიალური ამშენებლის უნარ-ჩვევების გაანალიზება.

ლიკა დევდარაინი

ქართული ანბანი კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია

„ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ UNESCO-ს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაშია.



გადაწყვეტილება 30 ნოემბერს, ეთიოპიის დედაქალაქ ადის აბებაში UNESCO-ს არამატერიალური მემკვიდრეობის მთავრობათაშორისმა კომიტეტმა მე-11 სესიაზე მიიღო.

კომიტეტის სესიაზე, რომელიც 28 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე იმართება, საქართველოს დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით მონაწილეობს: საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი UNESCO-ში - ეკატერინე სირაძე - დელონე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი - ნიკოლოზ ანთიძე, საგარეო საქმეთა სამინისტროს, UNESCO-ს ეროვნული კომისიის გენერალური მდივანი - ქეთევან კადნელაკი, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი აფრიკის კავშირში - ვახტანგ ჯაოშვილი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს UNESCO-სა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი - რუსუდან მირზიკაშვილი. ექსპერტის სტატუსით, UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხრიდან მიწვეულია - კონსტანტინე ნაცვლიშვილი.

აღნიშნული ნომინაცია საქართველოს მთავრობისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერითა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობით მომზადდა, ხოლო ნომინაციის მხარდაჭერა საერთაშორისო დონეზე უზრუნველყო საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

ნომინაციის მომზადებაში ჩართულები იყვნენ: ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ეროვნული მუზეუმი, საქართველოს საპატრიარქო, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები და ცალკეული ენათმეცნიერები. შეგახსენებთ, რომ 2015 წლის 19 მარტს, „უძველესი ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალ კულტურას“ არამატერიალური მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა საუკუნეების განმავლობაში

ქართული დამწერლობის ევოლუციისა და მის საფუძველზე მიღებული სამი ანბანური

სისტემის (მრგლოვანი, ნუსხური, მხედრული) სხვადასხვა კულტურული და სოციალური

ფუნქციით თანაარსებობის შედეგად ჩამოყალიბდა. ელემენტი მოიცავს ქართული

ანბანის სამ სახეობას, მათი გამოყენების მრავალფეროვნებასა და თანაარსებობის

ცოცხალ კულტურას, ლიტერატურულ მემკვიდრეობასა და კულტურას, ანბანის სწავლების მეთოდიკას (დედა ენა - საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი), ტიპოგრაფიის, გრაფიკულ და მედია-დიზაინის ხელოვნებას. ელემენტი ინახავს თხუტმეტსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკასა და გრამატიკას, რაც ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ფუნდამენტს წარმოადგენს.

UNESCO-ს მხრიდან „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურის“ კაცობრიობის არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად აღიარებას ფუნდამენტური მნიშვნელობა გააჩნია როგორც, ქართული საზოგადოებისა და დიასპორისთვის, ასევე საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ინსტიტუციებისა და ზოგადად საქართველოს, როგორც მაღალი კულტურის მქონე ქვეყნის იმიჯ ის განმტკიცებისთვის საერთაშორისო დონეზე.

ნომინაცია ხელს უწყობს საქართველოში კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებას, საზოგადოებაში ტოლერანტობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული სოციო-კულტურული კავშირების განმტკიცებას, ქართველოლოგის, როგორც მეცნიერების პოპულარიზაციას საერთაშორისო დონეზე, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებას. იგი ასევე წაახალისებს ქართული ენის, ანბანისა და ლიტერატურის კვლევითი ინსტიტუციებსა და ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის განმტკიცებას, რაც ელემენტის უმთავრეს დამცავ მექანიზმად მიიჩნევა.

P.S.
მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე • **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი • **მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის №37ᵇ • (0 431) 24-45-46. • psnews27@gmail.com • www.psnews.ge
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
Q — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე.
გამომცემელი — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) ბ - 658 P - 86**